

ღალი გულდანი

ილია სახელმწიფო უნივერსიტეტი

ებრაული კულტურის ოქროს ხანა

აბსტრაქტი

შუა საუკუნეებში, როდესაც მუსლიმური ესპანეთის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ასრულებდა ჯერ სევილია, ხოლო მოგვიანებით კორდოვა, ესპანეთში ისლამური სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი და ინსტიტუტები შეიქმნა. მაღალგანვითარებული ქვეყნის შესაფერისმა მუსლიმური ესპანეთის ცხოვრების სტილმა და ებრაელების წარმატებულმა ადაპტაციამ გაარაბიზებულ ესპანეთში ებრაული კულტურისა და ლიტერატურის აყვავება გამოიწვია, რაც VIII - XII საუკუნეებს მოიცავს. „ოქროს ხანად“ წოდებული პერიოდის ებრაული ლიტერატურა არაბულის დიდ ზეგავლენას განიცდიდა და გამოირჩეოდა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. ანდალუსიურ პოეზიაში ფართოდ არის წარმოდგენილი სატრფიალო ლირიკა. ანდალუსიელი პოეტების საყვარელი თემებია, ასევე, მეგობრობის, ღვინისა და ღვინის მოტივები, რომლებსაც ლექსებს უძღვნიან როგორც არაბი, ისე ებრაელი პოეტები.

XI საუკუნის ბოლოს ანდალუსიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ებრაული საერო პოეზიის ჟანრული და სტილისტური თავისებურებები. ებრაული პოეზიის აყვავების ხანაში ტრადიციულ აღმოსავლურ არაბულ ჟანრებთან ერთად ჩაისახა ახალი, არსებულ რეალობას მორგებული, ინოვაციური ჟანრები და თემები, რომლებიც ებრაელი პოეტების განწყობას, გრძნობებსა და განცდებს საკმაოდ ხატოვნად გადმოსცემდნენ. აქტუალური ხდება ისეთი თემები, როგორებიცაა სამშობლო და მასთან მიკუთვნებულობის საკითხი, „ელეგია ქალაქებისთვის“ ან ლტოლვა („ჰანინი“). სამშობლოსკენ ლტოლვა ყველაზე გავრცელებულ თემად ითვლებოდა ანდალუსიურ პოეზიაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იყო ისიც, რომ ებრაელმა პოეტებმა ტრადიციულ ლიტურგიკულ პოეზიასთან ერთად დაიწყეს საერო ლექსების წერაც.

სტატიაში წარმოდგენილი არიან ებრაული კულტურის ანდალუსიური ოქროს ხანის პოეტები (იეჰუდა ჰალევი, შელომო იბნ გებროლი, მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ალხარიზი, შამუელ ჰანაგიდი და სხვები), აღნიშნულია მათი დამსახურება და შემოქმედებითი თავისებურებები და განხილულია ამ პერიოდისთვის დამახასიათებელი ინოვაციური ჟანრები და თემები.

საკვანძო სიტყვები: ანდალუსიური, ბიბლიური, ებრაული ენა, არაბული პოეზია, ინოვაციური თემები

ებრაული ლიტერატურის განვითარების პროცესი დროის ხანგრძლივ მონაკვეთს მოიცავს და რამდენიმე პერიოდად შეიძლება დაიყოს. ებრაული კულტურის განვითარებაში ყველა პერიოდს დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავისი განსაკუთრებული მახასიათებლების გამო. უძველესი ლიტერატურა, რომელსაც განეკუთვნება ბიბლია (თანახი), მიმნა და გვიანდელი რაბინული ლიტერატურა

მოიცავს როგორც რელიგიურ თემატიკას, ბიბლიურ კომენტარებს, სენტენციებს, ისე ფოლკლორს, ხალხურ თქმულებებსა და სხვა მრავალფეროვან და მრავალჟანრობრივ თხრობით მასალას, რაც მომდევნო პერიოდების ებრაული კულტურის საფუძველია. მათ შორის გამორჩეულია შუა საუკუნეების „ოქროს ხანად“ წოდებული პერიოდიც, როცა ანდალუსიურ კულტურას განსაკუთრებული ხიბლი და ორიგინალურობა ახასიათებს. ებრაულმა ლიტერატურამ არნახული აყვავება განიცადა როგორც პოეზიის, ისე პროზის თვალსაზრისით. ესპანეთის შუა საუკუნეების ებრაული კულტურის აყვავებას კი, უპირველეს ყოვლისა, ხელი შეუწყო იმდროინდელი ესპანეთის პოლიტიკურ-სოციალურმა ვითარებამ.

ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, ბიზანტიისა და სასანიანთა სპარსეთის დასუსტების ფონზე, ისტორიის ასპარეზზე გამოსულმა არაბთა სახალიფომ მეზობელი რეგიონები დაიპყრო და არაბეთის ნახევარკუნძული გააერთიანა. VIII საუკუნის დამდეგს ესპანეთი, რომელსაც არაბები „ალ-ანდალუსს“ უწოდებდნენ, ომაიანთა სახალიფოში შედიოდა. არაბებმა ჩრდილოეთ აფრიკელი ბერბერული ტომების მხარდაჭერით სამი წლის განმავლობაში (711-714 წ.) იბერიის ნახევარკუნძულის უმეტესი ნაწილი დაიპყრეს. ჯერ კიდევ 710 წლის გაზაფხულზე ისინი რამდენჯერმე დაესხნენ თავს ნახევარკუნძულს და მიხვდნენ, რომ ესპანეთში დამკვიდრებული ვესტგოთები ძალზე დასუსტებულები იყვნენ.

არაბებმა 711 წელს გადალახეს გიბრალტარის სრუტე და ესპანეთში შეიჭრნენ. იმავე წელს არაბებმა და ბერბერებმა გაანადგურეს ვესტგოთების სახელმწიფო და ფეხი მოიკიდეს პირენეის ნახევარკუნძულზე, ხოლო 718 წელს დაიმორჩილეს ამ ნახევარკუნძულის უდიდესი ნაწილი. არაბული სახალიფოს ტერიტორიების ზრდას და, შესაბამისად, ისლამის წარმატებით გავრცელებას ხელი შეუწყო დაპყრობილი ხალხების მიმართ არაბების დამოკიდებულებამ. ისინი ბევრად უფრო ლოიალურად ექცეოდნენ დაპყრობილ ხალხებს, კერძოდ, არაბები სპარსელებისა და ბიზანტიელებისაგან განსხვავებით, ნაკლებად მომთხოვნები იყვნენ, თუმცა უწესებდნენ მათ გარკვეულ შეზღუდვებსაც. მაგალითად, მათ საჯაროდ არ უნდა აღენიშნათ რელიგიური დღესასწაულები, ტანსაცმელზე უნდა ეტარებინათ განმასხვავებელი ნიშანი. აღსანიშნია ისიც, რომ არაბული გადასახადები სპარსულ და ბიზანტიურ გადასახადებზე ნაკლები იყო, განსაკუთრებით მათთვის, ვინც ისლამს მიიღებდა. სახალიფოში არსებულმა ტოლერანტულმა რელიგიურმა პოლიტიკამ არამუსლიმ მოსახლეობას შეუნარჩუნა საკუთარი სარწმუნოება. ისინი, ვინც ისლამს არ აღიარებდნენ, ძირითადად ქრისტიანები და ებრაელები, ვალდებულები იყვნენ გადაეხადათ სპეციალური გადასახადი - ჯიზია.¹

ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენდნენ არაბები და ბერბერები,

რომელთა შორის ხშირი იყო დაპირისპირება ტომობრივ ან სოციალურ ნიადაგზე. ამავე დროს მიმდინარეობდა ახალმოსახლეთა ადაპტაციის პროცესი, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ მუსლიმები, ებრაელებისგან განსხვავებით, ადვილად უნათესავდებოდნენ ესპანელებს... მუსლიმური ესპანეთის პოლიტიკური ცენტრის ფუნქციას ასრულებდა ჯერ სევილია, რომელმაც შეცვალა ვესტგოთების დროინდელი ტოლედო, თუმცა 717 წლიდან ქვეყნის დედაქალაქი გახდა კორდოვა.

¹ http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_77.html

არაბთა მმართველობის საწყის ეტაპზე ხალიფებიდან უნდა გამოიყოს აბდ არ-რაჰმან I (756-788), რომელიც აბასიანთა რეპრესიებს გადაურჩა და კორდოვას მეჩეთში ალ-ანდალუსის ამირად გამოცხადდა. ესპანეთის ომაიანთა სასელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემის სრულყოფა წილად ხვდა დინასტიის ერთ-ერთ ყველაზე ინტელექტუალურ ამირას, აბდ არ-რაჰმან II-ს (822-852), ხოლო აბდ არ-რაჰმან III-ის და მისი შვილის, ჰაქამ II-ის, გამგებლობის პერიოდში ისლამურმა ესპანეთმა ძლიერებისა და აყვავების ზენიტს მიაღწია. მის დროს სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი საგრძნობად გაიზარდა, ნაწილი ხმარდებოდა სამხედრო საქმეს, ხოლო მეორე ნაწილი განკუთვნილი იყო საზოგადოებრივი, სამშენებლო და კულტურული საქმიანობისათვის... ემირატებს შორის მუდმივად არსებობდა შუღლი, რამაც უკვე XI საუკუნიდან ესპანელებს არაბების წინააღმდეგ ბრძოლა გაუადვილა და მოხდა მათი ეტაპობრივი შევიწროება და განდევნა, რის შედეგადაც XIII საუკუნისათვის ნახევარკუნძულზე დარჩა მხოლოდ გრანადის საემირო, რომელიც იძულებული იყო ხარკი გადაეხადა ესპანელებისათვის.²

არაბთა ბატონობის დასაწყისში ისლამის ძალდატანებით გავრცელებას, სხვა ქვეყნებივით, არც ესპანეთშიც არ ჰქონია ადგილი, რასაც თავისი პრაგმატული მიზეზი ჰქონდა - ისლამის ძალდატანებით გავრცელება და ქრისტიანთა და იუდეველთა მასიური გამუსლიმება საამიროს დიდ ეკონომიკურ შემოსავალს დაუკარგავდა რელიგიური გადასახადის, „ჯიზიას“, სახით, თუმცა VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე რელიგიური პოლიტიკა უფრო მკაცრი და მიზანდასახული გახდა. საგადასახადო სისტემა დამძიმდა და გაჩნდა ახალი გადასახადები.³ ამ დროიდან ადგილობრივი მოსახლეობის გამუსლიმების პროცესი დაჩქარდა, რის შედეგადაც IX საუკუნის შუა წლებში ესპანელების დიდი ნაწილი უკვე მუსლიმი იყო...⁴

რაც შეეხება ებრაელებს, არაბების ესპანეთში შეჭრისას (711წელს) წინარე პერიოდის ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებული შევიწროებების გამო, იუდაური თემების წამომადგენლების დიდი ნაწილი ღიად ველარ მისდევდა თავის რელიგიურ ვალდებულებებს, მაგრამ ფარულად მაინც იცავდა მათ. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი ფარულადვე ეხმარებოდნენ არაბებს, რომლებიც მათ ანდობდნენ დაპყრობილი ქალაქების დაცვას. ვესტგოთების დამარცხების შემდეგ კი არაბებმა ებრაელებს რელიგიური თავისუფლება და სასამართლო ავტონომია მიანიჭეს. ებრაულ თვითმმართველ თემებს, ისევე, როგორც ებრაულ უბნებს, ეწოდებოდა ალჟამა. ებრაელებისთვის შესაძლებელი გახდა მონაწილეობა მიეღოთ ნებისმიერი სახის საქმიანობაში. ისინი სწრაფად დაწინაურდნენ ვაჭრობაში, ხელოსნობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინასა და სხვა დარგებში. ებრაული კულტურა აყვავდა არაბული კულტურის გვერდით და ამ უკანასკნელის გავლენის ქვეშ იყო. ბაბილონის გეონებს მიმოწერა ჰქონდათ ლუსენისა და

² მერაბ ტიკაძე, არაბთა ისტორია (V-XV საუკუნეები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008 წ. , გვ.195

³ მარინე კობეშავიძე, ნინო ჭრიკიშვილი, ალ-ანდალუსის ქრისტიანებიდან მოსარაბებამდე, Jarchas - ლირიკური პოეზიის უძველესი ნიმუშები ესპანეთში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ მასალები, IX, 2024. <https://doi.org/10.52340/lac.2024.09.26>

⁴ https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/405979/1/Arabta_Istoria_V_XVss_2008.pdf _გვ.196-199.

ბარსელონის ესპანელ რაბინებთან. იეშივა ლუსენაში, რომელმაც აღზევების +პიკს მიაღწია XII საუკუნეში, ნახსენებია უკვე IX საუკუნეში; არაბი გეოგრაფები ლუსენას, გრანადასა და ტარაგონას ებრაულ ქალაქებს უწოდებენ.

X საუკუნეში ესპანეთში ებრაული კულტურის უმაღლესი აყვავების ერა იწყება. კორდოვა, ომაიანთა ხალიფების ყოფილი რეზიდენცია, გახდა მუსლიმური ესპანეთის კულტურული (არაბული და ებრაული) ცენტრი. სასამართლოს ექიმი და დიპლომატი ჰისდაი იბნ შაპრუტი, რომელიც ხალიფამ ესპანეთის ებრაელების მეთაურად დანიშნა, მფარველობდა ებრაელ მეცნიერებს, მოაზროვნეებსა და პოეტებს, კერძოდ, ორ ყველაზე გამოჩენილ ებრაელ ფილოლოგს -- დუნამ ბენ ლაბრატსა და მენაჰემ ბენ სარუკს. იბნ შაპრუტმა დანიშნა გამოჩენილი რაბინი მოშე ბენ ჰანოხი მთავარ რაბინად და იეშივას ხელმძღვანელად კორდოვაში, რამაც შეამცირა ესპანელი ებრაელების დამოკიდებულება ბაბილონის გეონების ავტორიტეტზე. XI საუკუნის დასაწყისში კორდოვას ხალიფატი დაიშალა რამდენიმე პატარა არაბულ და ბერბერულ სახელმწიფოდ, რომელთა მმართველები, როგორც წესი, ტოლერანტული იყვნენ ებრაელების მიმართ, ხშირად მიმართავდნენ ებრაელი ფინანსისტების, პოლიტიკური და ეკონომიკური მრჩევლების მომსახურებას და მფარველობდნენ ებრაელ მეცნიერებსა და მწერლებს. ამ ეპოქაში ებრაული საზოგადოების ზედა ფენისთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკურ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, რელიგიური და საერო კულტურის ჰარმონიული კომბინაცია ებრაული და არაბული ენების ცოდნის წყალობით.⁵

გრანადაში ებრაელთა მზარდმა გავლენამ გამოიწვია მტრული განწყობა ზოგიერთი მუსლიმური ჯგუფის მხრიდან, რომლებმაც 1066 წელს მოაწყვეს თავდასხმა ებრაელებზე, რა დროსაც დაიღუპა ქალაქის თითქმის მთელი ებრაული საზოგადოება (იოსეფ ჰა-ნაგიდის ჩათვლით) და მხოლოდ რამდენიმემ მოახერხა გაქცევა. წარმატებული ებრაული თემები არსებობდა ამ პერიოდში სევილიაში, ლუსენასა და ესპანეთის სხვა ქალაქებში. 1147–72 წლებში თითქმის მთელი მუსლიმური ესპანეთი დაიპყრეს ალმოჰადებმა, რომელთა რელიგიურმა დევნამ ბოლო მოუღო ანდალუსიის ებრაული თემების კეთილდღეობას. ებრაელთა ცენტრი მუსლიმური სამხრეთიდან ქრისტიანულ ჩრდილოეთში გადავიდა. 1162 წელს სამხრეთში დარჩენილი ებრაელები აქტიურად მონაწილეობდნენ უკვე ხალიფას წინააღმდეგ აჯანყებაში. XIII საუკუნის შუა ხანებში ქვეყნის ერთადერთი ტერიტორია ჯერ კიდევ არაბთა ხელში იყო გრანადის ემირატის სახით. ქრისტიანულ მმართველობაზე გადასვლას თავდაპირველად არ ჰქონდა შესამჩნევი გავლენა ესპანეთის არაბული გავლენის მქონე ებრაული თემის კულტურულ ცხოვრებაზე. მართალია, ქრისტიანულ ესპანეთში ებრაელებმა განაგრძეს სამეცნიერო და ლიტერატურულ-კულტურული საქმიანობა,⁶ თუმცა მათი მოღვაწეობა აღარ იყო ისეთი ნაყოფიერი, როგორიც მუსლიმურ ესპანეთში... ებრაელების მეცნიერული ინტერესები ორიენტირებული იყო ებრაულის, ბიბლიისა და თალმუდის შესწავლაზე, ასევე ებრაულ ენაზე რელიგიური და საერო

⁵ Краткая Еврейская Энциклопедия (КЕЭ), Главные редактор: Ицхак Орен (Надель), Главный научный консультант: проф. Михаэл Занд, том 3, Еврейский Университет в Иерусалиме, Иерусалим, 1986, стр. 894-906

⁶ <https://eleven.co.il/diaspora/regions-and-countries/11856/>

პოეზიის სტილის განვითარებასა და გამდიდრებაზე.⁷ პოეზიის ინტერესმა მასტიმულირებელი გავლენა მოახდინა ებრაული გრამატიკის განვითარებაზე, რომლის ყველაზე გამორჩეული მკვლევარები, მენაჰემ იბნ სარუკთან და ღუნამ ბენ ლაბრატთან ერთად, იყვნენ იეჰუდა ბენ დევიდ ჰაიუჯი, რომელმაც შეიმუშავა ებრაული ზმნების სამი ასო ფუძის კონცეფცია.⁸

შუასაუკუნეების ებრაულ კულტურას თავისი ძირითადი მახასიათებლები აქვს:

- უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ებრაელებსა და არაბებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა. ებრაელებს რელიგიური და მოქალაქეობრივი უფლებები გააჩნდათ, სარგებლობდნენ არაბი მმართველების ხელშეწყობით და ჰქონდათ შემოქმედებითი განვითარებისა და არაბული კულტურის გაზიარების შესაძლებლობა, რაც ებრაელთა ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა.
- „მიუხედავად საყოველთაოდ დაკანონებული თეოლოგიურ - რელიგიური თვალსაზრისისა, ბიბლიურმა წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს შუა საუკუნეების ებრაელთა ლიტერატურულ - მხატვრული აზროვნების განვითარებაში. ესპანეთში მოღვაწე ებრაელმა პოეტებმა თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში თვალნათლივ წარმოაჩინეს ძველი აღთქმის წიგნების პოეტური ნაკადი, თავისებურად განავრცეს და განავითარეს იგი, რითაც ბიძგი მისცეს მოგვიანო საუკუნეების მკითხველებს, ლიტერატურული ფასეულებანი ეძიათ ბიბლიაში“.⁹ თუ ოქროს ხანამდე ბიბლია მხოლოდ რელიგიურ-თეოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლებოდა, ამ პერიოდიდან მოყოლებული მისი, როგორც ლიტერატურული ძეგლის, განხილვაც გახდა შესაძლებელი...
- ყოველდღიურ მოხმარებას მოკლებული, სასაუბროდ მკვდარი ენა, პოეზიის ნიმუშებში გაცოცხლდა.
- ებრაული ლიტერატურა, განსაკუთრებით პოეზია, განიცდიდა არაბული ლიტერატურის დიდ გავლენას.

ასე, რომ ესპანეთში ებრაული პოეზია წარმოიშვა ორი უკიდურესად ძლიერი, კლასიკური არაბული პოეზიისა და ბიბლიის ენის გავლენით. ბიბლიური ებრაული არის ნედლეული ანდალუსიის ებრაელი პოეტებისთვის, საიდანაც ისინი იღებენ თავიანთი ლექსებისთვის საჭირო ენობრივ მასალას. ანდალუსიური ებრაული პოეზია იმთავითვე იყენებდა არაბული პოეზიის სხვადასხვა პერიოდისთვის დამახასიათებელი თემებისა და პროსოდიების (მარცვალთა შეფარდება ლექსში) სრულ მრავალფეროვნებას. ებრაელმა პოეტებმა მუსლიმურ ესპანეთში შეგნებულად მიიღეს უკვე არსებული არაბული პოეზიის ელემენტები ბიბლიური ენის საიდუმლოების გამოყენებისას. ხატოვნად რომ ითქვას, ამ კულტურულ კონტექსტში, პოეტური ტექსტი ჩაფიქრებული იყო, როგორც ხელოვნების ნიმუში, რომლის სილამაზე ენაშია.¹⁰

⁷ <https://old.bigenc.ru/literature/text/1974033>

⁸ КЕЭ (Краткая Еврейская Энциклопедия), т.9, стр.742, 1999.

⁹ აჯიაშვილი ჯემალ, შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, ებრაულიდან თარგმნა ჯ.აჯიაშვილმა, „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ.7

¹⁰ ლალი გულედანი, ანდალუსიური ებრაული პოეზიის ძირითადი მახასიათებლები, ჯემალ აჯიაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათა დიალოგი გრძელდება“, თეზისები, გვ.55, 22-23 მარტი, თსუ, 2024.

ანდალუსიური კულტურა და მეცნიერება იყო საერთო ისლამური ცივილიზაციის შემადგენელი ნაწილი. განსაკუთრებით ამ პერიოდის არაბული ლიტერატურა, რომლის განვითარებაზე ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ ტრადიციებთან ერთად, დადებითი ზეგავლენა მოახდინა არაბული სახალიფოს აღმოსავლეთ რეგიონების კულტურამაც. მუსლიმური ესპანეთის სახელმწიფო ენა იყო არაბული, რომელზეც შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურა, მათ შორის გამორჩეულია ანდალუსიური არაბულენოვანი პოეზია, რომელიც VIII-X ს.ს.-ში ძირითადად კლასიკური ტენდენციებით ვითარდება, ხოლო XI საუკუნიდან ორიგინალური თემატიკითა და პოეტური სახეებით არის წარმოდგენილი.

არაბული ლიტერატურის ისტორია ესპანეთში შეიძლება დაიყოს სამ პერიოდად:

ანდალუსიური ლიტერატურის ჩამოყალიბების (VIII საუკუნიდან X საუკუნის ბოლომდე); მისი აყვავების (XI - XII საუკუნის მეორე ნახევარი) და დაცემის (XII-XV სს. დასასრული) პერიოდებად. ანდალუსიური ლიტერატურის განვითარების სამივე ეტაპზე გავრცელებული იყო არაბული პოეზიის მანამდე არსებული სხვადასხვა ჟანრი: მაღჰი (ხოტბა, პანაგირიკი), სატირა (ჰიჯა), საკუთარი თავის ქება (ფახრი), აღწერა (ვასფი), ღვინის პოეზია (ხამრიათი), ელეგია(რისა), ლირიკული ჟანრი (ლაზალი) და ა.შ.

ანდალუსიური ლიტერატურის პირველი პერიოდი მოიცავს დაახლოებით სამას წელს და ძირითადად ემთხვევა კორდოვას კულტურული აყვავების ხანას. პირველ ეტაპზე, როგორც აღინიშნა, შეინიშნება კლასიკური არაბული ლიტერატურის დიდი გავლენა, ამიტომაც მას „მიბაძვის“ ხანას უწოდებენ. ანდალუსიური ლიტერატურის განვითარების მეორე ეტაპზე გაბატონებულ ტრადიციულ აღმოსავლურ არაბულ ჟანრებთან ერთად, გარკვეული შემობრუნება შეიმჩნევა ადგილობრივი, ესპანური თემისკენ. ტრადიციები მნიშვნელოვნად იცვლება. „ვასფი“, რომელიც ანდალუსიური პოეზიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჟანრია, პირველად არაბულ პოეზიაში ჩნდება ბუნების, კერძოდ, ზღვის აღწერა. ანდალუსიურ პოეზიაში დიდი ადგილი უკავია სატრფიალო ლირიკას. ანდალუსიელი პოეტების საყვარელი თემებია ასევე მეგობრობის, ღვინისა და ლხინის მოტივები, რომლებსაც ლექსებს უძღვნიან როგორც არაბი, ისე ებრაელი პოეტები. ვრცელდება „ადაბის“ ჟანრის (დიდაქტიკური ხასიათის) ქმნილებებიც. X საუკუნეში წარმოიშვა და მომდევნო საუკუნეებში პოპულარული გახდა არაბული სალექსო ფორმა - „ზაჯალი“, რომელსაც ახასიათებს რითმებით ორგანიზებული სტროფული კომპოზიცია.¹¹ შუა საუკუნეებში, არაბული ლექსის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი ხდება „მაღჰი“ (ხოტბა, პანაგირიკი), რომელიც მარტივად გადაიქცა პოლიტიკურ იარაღად, მან შეიძინა დამრიგებლური ხასიათიც. ამ ჟანრის ლექსების შემქმნელი პოეტები გვევლინებიან რელიგიურ-პოლიტიკურ ლიდერებად, რომლებიც იცავენ თავიანთი დაჯგუფებების ინტერესებს

https://www.researchgate.net/publication/380953210_jemal_ajashvili_dabadebidan_80_tslistav_isadmi_midzghvnili_sametsniro_konperentsia_SCHOLARLY_CONFERENCE_IN_HONOUR_OF_THE_80_TH_ANNIVERSARY_OF_THE_BIRTH_OF_JEMAL_AJASHVILI_kulturata_dialogi_grdzelde

¹¹ ლეილა ქველიძე, არაბული (ანდალუსიური) ლიტერატურის განვითარების ეტაპები ესპანეთში, VIII საერთაშორისო კონფერენციის „ენა და კულტურა“ მასალები (II), 2023. გვ.197-111 <https://doi.org/10.52340/lac.2023.08.83>

სახალიფოს კარზე. ამ პერიოდის სახოტბო ლექსების უმრავლესობა, რომელთა ავტორები კარის პოეტები იყვნენ, ეძღვნებოდა ქვეყნის მმართველებს ან სამეფო კარის დიდებულებს.¹² ებრაულ ენაზე დაიწერა დიდგვაროვანი მფარველისადმი მიძღვნილი ოდები, რომლებიც ძალიან გაზვიადებულად წარმოაჩენდნენ მის რეალურ და სტერეოტიპულ ღვაწლს. ამ ფორმით ვრცელ ოდებში, რომლებსაც ებრაელები არაბულად “კასიდას” უწოდებდნენ, პოეტები დეტალურად აღწერდნენ თავიანთი პატრონების კეთილშობილებასა და განათლებას.¹³ შუა საუკუნეების პოეზიის განვითარებაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა სალექსო ფორმა “კასიდას” (ნიშნავს რაიმე მიზნის მექნეს), რომელიც თავისი დიდი მოცულობით, დასრულებული ლექსის ფორმით იმდენად სრულყოფილი და დახვეწილი იყო, რომ საშუალებას იძლეოდა პოეტს გამოეხატა ინდივიდუალიზმი, მისწრაფება, შეექმნა ისეთი სიახლე, რომელიც მორგებული იქნებოდა შესაბამის დროსა და მდგომარეობას.¹⁴

XII საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება ანდალუსიური არაბული ლიტერატურის თანდათანობით დაცემის პროცესი.

მუსლიმურ ესპანეთში ჯერ კიდევ არაბთა გამოჩენამდე ცხოვრობდნენ ებრაელები, რომლებმაც ისევე, როგორც ადგილობრივმა ესპანელმა ქრისტიანებმა, არაბიზაცია განიცადეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ არაბული კულტურის გავლენისა და იმის გამო, რომ ებრაელი პოეტები კარგად ფლობდნენ არაბულ ენას, შუა საუკუნეების ებრაული ლიტერატურის ენა ხასიათდება დიგლოსიით - ისეთი ენობრივი მდგომარეობით, როცა ერთი და იმავე საზოგადოების შემოქმედებითი აქტივობის ენა ორია: არაბული ენის ზეგავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისთავად განპირობებული მოვლენაა, თუმცა არაბულთან ერთად ამ პერიოდის ებრაულს ჰქონდა რელიგიურის გარდა, ფილოსოფიური და ლიტერატურული ფუნქციაც. ამის დასტურად შეიძლება დავასახელოთ პოეტი მოშე იბნ ეზრა (1055-1135), რომელიც წერდა ებრაულ და არაბულ ენებზე. მან არაბულად დაწერა პირველი ნაშრომი ებრაულ პოეტიკაზე (XI საუკუნის მეორე ნახევარი - XII საუკუნის დასაწყისი) - ტრაქტატი "Kitab al-muhadara v-al-muzakara" ("საუბრისა და მოგონებების წიგნი").¹⁵ არაბულ ენაზე დაიწერა ასევე მლომო იბნ გაბიროლის ძირითადი ფილოსოფიური ტრაქტატი „წყარო ცხოვრებისა“, თუმცა, ამავედროულად, ებრაულ ენაზეა წარმოდგენილი მისი მხატვრული შემოქმედება.¹⁶ იყო პიროვნული გაორების შემთხვევებიც. მაგალითად, შემუშელ ჰანაგიდი, რომელიც ომში წინ მიუძღვოდა მუსლიმთა გაერთიანებულ ჯარებს, მშვიდობის ჟამს კი ბიბლიური სევდით სავსე ლექსებს წერდა წუთისოფლის ამაოებაზე.¹⁷ იყო რელიგიური მრწამსის შეცვლის

¹² ვანტანგ თევდორაძე, მადჰი (ხოტბა, პანეგირიკი) ომაელთა ხანის პოეტის ალ-ახტალის შემოქმედებაში, ქუთაისი სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადული, IV, 2012, გვ.126-129

¹³ <https://odiel.livejournal.com/138036.html>

¹⁴ ვანტანგ თევდორაძე, კასიდის როლი შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის ჩამოყალიბება-ფორმირებაში, თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი, N3, 2021

<https://journals.org.ge/index.php/asianstudies/issue/view/27>

¹⁵ KEΘ, том 2, стр. 595–596

¹⁶ KEΘ, том 2, стр. 583–587

¹⁷ KEΘ, том 10, стр. 245–247

შემთხვევებიც. მაგალითად, დაცემის პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოეტი იბრაჰიმ იბნ საჰლი (1208-1251), სევილიელი ებრაელი, ანდალუსიური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი, რომელმაც ისლამი მიიღო სიცოცხლის ბოლო წლებში.¹⁸

როგორც აღინიშნა, შუა საუკუნეების ებრაული ლიტერატურა, როგორც პოეზია, ისე პროზა, განიცდიდა არაბულის გავლენას და არაერთ ლიტერატურულ თემას დაესესხა მას. ამასთან ერთად, ებრაული ლექსები იქმნებოდა არაბული ვერსიფიკაციული საზომებით, არაბული ლექსის ყალიბით და არაბული ლიტერატურული ჟანრების გამოყენებით. ებრაული ლექსი არაბული ლექსის მსგავსად ირითმებოდა. სტრიქონი, ჩვეულებრივ, თორმეტმარცვლიანი უნდა ყოფილიყო. გარდა მარცვალთა რაოდენობისა, არაბული ლექსის მსგავსად, ყოველ ბეითში განაწილებული იყო “მილელა” (მახვილი ბოლოსწინა მარცვალზე) და “მილერა” (მახვილი ბოლო მარცვალზე). პროზაც, როგორც წესი, იმეორებდა არაბული პროზის თემატიკასა და ჟანრებს. „ერთი მხრივ, ნაწარმოების თემატურ-მინაარსობრივი გააზრება ბიბლიურ ტრადიციებს ეფუძნებოდა, მეორე მხრივ კი იგრძნობოდა არაბული პოეზიის გავლენა ლექსების ფორმალურ-ვერსიფიკაციული სტრუქტურის ჩამოყალიბებაში. ერთმანეთს შეერწყა ბიბლიური ტრადიციების ტრაგიკული სულისკვეთება და არაბული ლექსის კეთილხმოვანება“.¹⁹

XI საუკუნის ბოლოს ანდალუსიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ებრაული საერო პოეზიის ჟანრული და სტილისტური თავისებურებები. ებრაული კულტურის ანდალუსიური ოქროს ხანის წარმომადგენლები იყვნენ: იეჰუდა ჰალევი, შელომო იბნ გებროლი, მოშე იბნ ეზრა, იეჰუდა ალხარიზი, შამუელ ჰანაგიდი და სხვა.²⁰ სტატიამი მოკლედ არის წარმოდგენილი ანდალუსიური პოეზიის ზემოჩამოთვლილი ებრაელი პოეტები მათი დამსახურებისა და შემოქმედების თავისებურებების მიხედვით.

ებრაული ლიტერატურის „ოქროს ხანა“ ესპანეთში იწყება X საუკუნის შუა ხანებიდან კორდოვაში საერო ებრაული პოეზიის გაჩენით. პირველი პოეტი, რომელმაც საერო ლექსები შექმნა, იყო **მენაჰემ იბნ სარუქი** (X საუკუნე).²¹ მის მიერ ებრაულად დაწერილი პოეტური ლექსები შუა საუკუნეების საერო პოეზის ერთ-ერთი ადრეული ნიმუშებია. X საუკუნის შუა წლებში იბნ სარუქის თანამედროვე **დუნამ ბენ ლაბრატმა** რევოლუცია მოახდინა ებრაულ პოეზიაში. სწორედ მან პირველმა განავრცო არაბული პოეზიიდან აღებული ებრაული პოეზიის მოტივები, ჟანრები და მეტრი.²²

ებრაული საერო პოეზიის განვითარება დაკავშირებულია ესპანეთის გამოჩენილი პოეტის, სახელმწიფო მოხელისა და სამხედრო ლიდერის, **შამუელ ჰანაგიდის** (993-1056) შემოქმედებასთან. მის ნამუშევრებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა პანეგირიკული (სახოტბო) და ეპიგრამული ჟანრები. იგი წერდა თალმუდის კომენტარებს, მოსაზრებებს ივრითის გრამატიკის საკითხებზე, აგრეთვე ლექსებს - როგორც საერო თემებზე, ისე ლოცვებისთვის გათვალისწინებულს. მას ჰქონდა ყველაზე სრული და ძვირფასი წიგნების

¹⁸ ლეილა ქველიძე, გვ.110

¹⁹ ჯ.აჟიაშვილი, გვ.7

²⁰ <https://www.britannicacom/art/Hebrew-literature>

²¹ КЕЭ, том 2, стр. 589–590

²² იქვე, стр. 394

კოლექცია ივრითზე.²³ ჰანაგიდის პოეტური მემკვიდრეობა მოიცავს ათობით ლექსსა და პოემას, რომელიც სამ წიგნად არის წარმოდგენილი: „ბენ თეჰილიმ“, „ბენ მიშლი“ და „ბენ კოჰელეთ“. მისი პოეზიისთვის დამახასიათებელია ენობრივი სიზუსტე და თემატური მრავალფეროვნება.²⁴

მშუელ ჰანაგიდის თანამედროვე, ფილოსოფოსი და პოეტი **შლომო იბნ გაბიროლი** (1021-1055) არის შუა საუკუნეების ესპანეთის ერთ-ერთი უდიდესი ებრაელი პოეტი. თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მან ბევრი მშვენიერი პოემა დაწერა ივრითზე და არაბულად. ფართოდ არის ცნობილი მისი ფილოსოფიური ნაწარმოებები. წერდა პიუტებსაც (ჰიმნებს) შაბათისთვის, დღესასწაულებისთვისა და მარხვისთვის, რომელთაგან ბევრი შეტანილია სალოცავ კრებულებში - მაზზორებში. პოემებისა და ჰიმნების ნაწილი ეძღვნება ღვთის მგზნებარე სიყვარულსა და მესიის მოლოდინის თემას. მისი ლიტერატურული შემოქმედების მწვერვალია ეთიკურ-ფილოსოფიური პოემა „keter malxuT“ („სამეფო გვირგვინი“), რომელიც შესულია განკითხვის დღის იომ ჰაჟიფურის ლიტურგიაში და ფილოსოფიური ნაშრომი „mekor khaim“ („წყარო ცხოვრებისა“).²⁵ ეს ნაწარმოები ნეოპლატონური პანთეიზმისაკენ მიდრეკილებით ხასიათდება. გაბიროლის ფილოსოფიასთან ორგანულადაა დაკავშირებული მისი მხატვრული შემოქმედებაც მის ნაწარმოებებში ბუნებრივადაა შერწყმული მგრძნობიარე პოეტისა და მოაზროვნე ფილოსოფოსის პიროვნული თვისებები. ნაწარმოებთა უკიდურესი ტრაგიზმი და ამაღლებული ინტონაციები კარგად შეესატყვისება ავტორის შინაგან განწყობილებას.²⁶

აბრაჰამ იბნ ეზრა (დაახლოებით 1090-1165) არის პოეტი, ფილოსოფოსი, გრამატიკოსი, ასტრონომი, მათემატიკოსი, რომელმაც თავისი მრავალმხრივი მოღვაწეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ პერიოდის ებრაული კულტურის განვითარებაში. იგი არის ავტორი რელიგიურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებისა. მის კალამს ეკუთვნის ღრმა მეცნიერულ-გრამატიკული ხასიათის კომენტარები ბიბლიური ეგზეგეტიკის სფეროში. მისმა ლიტერატურულმა შემოქმედებამ გაამდიდრა შუა საუკუნეების ებრაული პოეზია, რომელიც გამოირჩევა მისტიკური შეფერილობითა და ტრაგიკული სულისკვეთებით, რაც მისი პირადი, ოჯახური პრობლემებით და ტრაგიკული ცხოვრებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ასეთი ხასიათის ლექსების გვერდით იძებნება სატრფიალო სიმღერები და გამოცანები.²⁷

ებრაული კულტურის განვითარებაში არანაკლები დამსახურება აქვს აბრაჰამის უფროს თანამედროვეს **მოშე იბნ ეზრას** (1055-1139). მან შექმნა მრავალი პოეტური ნაწარმოები - როგორც საერო, ისე რელიგიური. განსაკუთრებით საინტერესოა მისი საერო ლექსების კრებული „თარშიშ“ („1210 სტრიქონი“), რომელიც არაბული პოეტიკის კანონებზეა დაფუძნებული და 10 თავისაგან შედგება. გარდა პოეტური ნაწარმოებებისა, მოშე იბნ ეზრამ, პირველმა ებრაული

²³ რუთ სამოელსი, ებრაელთა ისტორიის გზებზე, ებრაული თემების გამომკვლევი საზოგადოება, თელ-ავივი, 1990, გვ.205

²⁴ KEΘ, том 10, стр. 245–247

²⁵ KEΘ, том 2, стр. 583–587;

ასევე, რუთ სამოელსი,... გვ.206

²⁶ ჯ.აჟიაშვილი,... გვ.49-50

²⁷ იქვე,... გვ.195-196

ლიტერატურის ისტორიაში, დაწერა ტრაქტატი რიტორიკისა და პოეტიკის საკითხებზე. სწორედ მოშე იბნ ეზრამ შემოიტანა ებრაულ პოეზიაში ჰომონიმური ლექსის ცნება (კრებული „Sefer ha-‘anak“ - „ყელსაბამის წიგნი“) და სხვა ინოვაციები.²⁸

იეჰუდა ჰალევი (დაახლოებით 1075-1141) ებრაული კულტურის ოქროს ხანის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეა. მისი შემოქმედება არის ებრაული პოეზიის მწვერვალი ანდალუსიაში. იგი იყო ავტორი როგორც საერო, ისე ლიტურგიკული პოეზიისა. მან გულმოდგინედ შეისწავლა ბიბლია. მისი ლექსები გაჟღენთილია ბიბლიური და ფილოსოფიური თემებით და სახეებით. მას იპყრობდა ერეც-ისრაელის სევდა, რაც აისახა სამშობლოს თემატიკაზე დაწერილ ლექსებში. ამ გრძობამ აიძულა ღრმად მოხუცებული ისრაელის გზას დასდგომოდა და დაასრულა კიდევ სიცოცხლე იმ წამს, როცა ისრაელის მიწაზე დადგა ფეხი. იეჰუდა ჰალევმა ინოვაციური ცვლილებები შეიტანა ბევრ ჟანრსა და ლექსთა ფორმაში, როგორებიცაა, მაგალითად, სამგლოვიარო ლექსების ჟანრში მიცვალებულთან დიალოგის თემა, ბალადის სტროფული ფორმა და სხვა. იუდაიზმის ღრმა აზრია გადმოცემული მის არაბულად დაწერილ წიგნში „ქუზარი“. ²⁹ იეჰუდა ჰალევის პოეზიას ახასიათებს გრძნობათა ფართო სპექტრი, სასიყვარულო ლექსების ემოციურობა ვრცელდება მსუბუქი ფლირტიდან მგზნებარე სიყვარულამდე. მისი პოეზია ბევრ თემას მოიცავს, თუმცა „ერეც ისრაელის“ სევდა იმდენად ღრმაა, რომ საფუძვლად დაედო ლექსთა ციკლს „სიონის სახეები“ („სიონიდები“).³⁰ მისი შემოქმედებიდან შემორჩენილ 350-მდე პიუტს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ციკლი „შირეი ჰა-გალუთ“ („გადასახლების სიმღერები“).³¹

პოლიტიკურმა ვითარებამ, კერძოდ, იმ ფაქტმა, რომ XIII საუკუნის შუა წლებიდან ქრისტიანებმა ესპანეთში დაიწყეს მუსლიმური ხელისუფლების შევიწროება გამოიწვია ებრაული ლიტერატურის „ოქროს ხანის“ დასასრული. პოლიტიკურმა დაძაბულობამ და ომებმა უარყოფითად იმოქმედეს ებრაული და არაბული კულტურების განვითარებაზე, თუმცა ებრაული პოეზიის ბოლო გაელვებად შეიძლება ჩაითვალოს არაბული მოდელის მიხედვით ებრაულ ენაზე „მაკამების“ შექმნა. „მაკამა“ ნიშნავს „თავშეყრის ადგილს“, არის ე.წ. პიკარესკული (თაღლითური) ნოველა, ფიქციურ და არაფიქციურ ჟანრებს შორის მოქცეული, გარდამავალი თხრობის ტიპი პროზასა და პოეზიას შორის. ეს არის რეალური სიტუაციებიდან აღებული, მაგრამ შელამაზებული მოკლე მოთხრობების სერიები, რომლებიც გარკვეული ამბის მიღმა სხვა თემას ეხება. სიტყვა „მაკამა“ უკვე გვხვდება უძველეს წინაისლამურ პოეზიაში და აღნიშნავდა ტომის შეხვედრის ადგილს, თავად შეხვედრის ან ამ შეხვედრაში დამსწრე ადამიანებს.³² ამ ჟანრის ნიმუშად შეიძლება დასახელდეს იეჰუდა ალხარიზის (1165-1225, ტოლედო) რიტმული პროზით წარმოდგენილი სათავგადასავლო ჟანრის თხზულება

²⁸ იქვე, გვ.67

²⁹ КЕЭ, том 2, стр. 775–779

³⁰ რუთ სამოელსი,...გვ.209

³¹ А.В. Спиридонова, Арабское влияние на еврейскую литературу в Андалусии на примере сборника макама Йехуды аль-Харизи «Тахкемони», Петербургский Институт Иудаики Санкт-Петербург, 2013, стр. 7

³² Долинина А.А. Предисловие // Бади аз-Заман ал-Хамадани, Макамы, СПб: Петербургское востоковедение, стр. 9, 1999.

“თახეომონი”, რომლის შთაგონების წყარო არაბი მწერლის, ალ-ხარირის მაკამების კრებულია.³³

სტატიკურ ანდალუსიური პერიოდის ფართოდ გავრცელებული ჟანრებიდან და თემებიდან ძირითადად განიხილება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ნოვატორულია და კარგად გამოხატავს უცხო ქვეყანაში დამკვიდრებული პოეტების გუნება-განწყობას, ფიქრებსა და განცდებს. მაგალითად, „ელეგია ქალაქებისთვის“, რომელიც საკმაოდ ინოვაციური იყო ანდალუსიურ პერიოდში. ამ ტიპის პოეზიაში აქცენტი გაკეთებულია ანდალუსიელი პოეტებისა და იმ ადგილების კავშირზე, სადაც მათ უწევდათ ყოფნა, იმ ბუნებაზე, რომელიც მათი პოეზიის შთაგონების წყარო იყო. აქვე თავს იჩენს სამშობლოსადმი მიკუთვნებულობის საკითხი, რაც მუსლიმ და ებრაელ პოეტებს შორის განსხვავებულია. ანდალუსიელი პოეტების დამოკიდებულება სამშობლოს მიმართ ამალღებულია. მუსლიმები (მცირე გამონაკლისის გარდა) ანდალუსიის რეგიონს თავიანთ სამშობლოდ აღიქვამდნენ. მათი სიყვარული დაკავშირებულია ანდალუსიის მომხიბვლელ ბუნებასა და ლანდშაფტთან. მუსლიმთა კუთვნილების გრძნობა ამ ადგილებისადმი იმდენად ღრმაა, რომ ისინი ანდალუსს განსაკუთრებულ ადგილად, დედამიწაზე სამოთხედ მიიჩნევდნენ. ებრაელ პოეტთა აღქმა ანდალუსთან დაკავშირებით განსხვავებულია. მიუხედავად იმისა, რომ პოეტების უმეტესობა დაიბადა და გაიზარდა ანდალუსიის ქალაქებში, ისინი თავიანთ შემოქმედებაში არ მალავდნენ სიონის მიწისადმი ლტოლვას. მათთვის ანდალუსია მხოლოდ უცხო ადგილად, გადასახლების მიწად ითვლება და სანამ თავიანთ სამშობლოში არ მოხვდებიან, იტანჯებიან, მონატრების გრძნობა ეუფლებათ და სიონში დაბრუნებამდე მოსვენება აქვთ დაკარგული, რაც აისახება კიდევ მათს პოეზიაში. ხეტიალი და გადასახლება მნიშვნელოვანი და ცენტრალური ფაქტორებია ანდალუსიის პოეტების ემოციებში. მათ ლექსებში გამოხატულია ლტოლვა იმ ადგილებისკენ, რომელსაც სხვადასხვა მიზეზის გამო გაერიდნენ, დატოვეს და მოწყვეტილები იყვნენ. ანდალუსიურ პოეზიაში “ჰანიინი” (حنيني) „ლტოლვა“ მიმართულია ადგილსა და სამშობლოსკენ. ნიშნები, რომლებიც ჩნდება ბიბლიის პერიოდის გარშემო, მიდრამში და აგადაში, ემსახურება პოეზიას, რომელიც ორიენტირებულია სამშობლოსა და მის ბედზე და ავსებს ლექსს შინაარსობრივად. მაგალითად, პირველი და მეორე ტაძრის განადგურება ცენტრალური ინტერესი იყო შუა საუკუნეების პოეტებისთვის.³⁴ სამშობლოსკენ ლტოლვა ყველაზე გავრცელებულ ჟანრად ითვლებოდა ანდალუსიურ პოეზიაში. განადგურება, იზოლაცია, პრობლემები, ტანჯვა და გაჭირვება კვებავდა ამ ჟანრს და ამდიდრებდა მას შინაარსობრივად. რეალურმა ცხოვრებამ პოეტებს ლექსის წერის სურვილი აღუძრა, რის შედეგადაც იქმნებოდა გულისამაჩუყებელი ელეგიები წარსულის დიდებისა და კულტურის ცენტრების დაცემის შესახებ. ისინი გლოვობდნენ და განიცდიდნენ მთელი ებრაული თემების გაქრობას. მიუხედავად ამალღებული სტატუსისა, რომელიც ებრაელებს ჰქონდათ ანდალუსში, მათ ვერ

³³ А.В. Спиридонова..., стр. 10

³⁴ Abdallah Ebraheem Tarabieh, *Arabic and Hebrew Poetry in Andalusia between Light and Darkness*, Cambridge Scholars Publishing, 2022, p.3

მოახერხეს გადასახლების გრძნობის დათრგუნვა და ეძებდნენ სულიერ და ფიზიკურ გამოსყიდვას.³⁵

სამშობლოსადმი მიკუთვნებულობის საკითხში ზემოთ აღნიშნული განსხვავების გარდა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ არაბულ საერო ლექსებში ადრესატები არიან ზოგადად ადამიანები, ხოლო ებრაულ ლიტურგიკულ ლექსებში მთავარი ადრესატი ღმერთია, თუმცა იმპულსი დახმარებისა და გამოსყიდვის მოწოდებისა და ასევე ებრაელთა და მუსლიმთა ნოსტალგიური გრძნობები, თანაბრად ჩანს ორივე პოეზიაში, რაც პოლიტიკური და სოციალური არასტაბილურობისა და სამშობლოდან გადასახლების გამო განცდილი ტანჯვით უნდა იყოს გამოწვეული.

ესპანელი ებრაელი პოეტების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლე იყო ის, რომ ტრადიციულ ლიტურგიკულ პოეზიასთან ერთად მათ დაიწყეს საერო ლექსების წერაც, რომლებიც არც სწავლებისთვის იყო განკუთვნილი და არც ლოცვის რიტუალში გამოიყენებოდა. ახალმა ებრაულმა საერო პოეზიამ მალევე მისცა ბიძგი ებრაული ლიტურგიკული პოეზიის ახალი სახეობის დამკვიდრებას, რომელიც იქმნებოდა ინოვაციური პოეტური ფორმებითა და ხასიათდებოდა სტილისტური და თემატური სახეცვლილებებით, რის შედეგადაც ძნელი გახდა საერო და ლიტურგიკულ პოეზიას შორის ზუსტი საზღვრების დადგენა. მათ ასევე შექმნეს რელიგიური შინაარსის ლექსები, რომლებიც მოკლებული იყო ყოველგვარ ლიტურგიკულ ფუნქციას. მაგალითად, მოსე იბნ ეზრამ, ერთი მხრივ, დაწერა ლიტურგიკული ლექსები, რომლებიც შეიცავს გლოვას ისრაელიდან გადასახლების გამო, თუმცა იქვე გამოხატულია ისრაელის ხალხის გადასახლებიდან განთავისუფლების და ღვთაებრივი აღთქმის განხორციელების იმედი, მეორე მხრივ, მანვე დაწერა უფრო პირადული, "საერო" პრეტენზია ქრისტიანულ ესპანეთში მის პირად გადასახლებაზე - რაც განსხვავებული იყო კულტურული და ენობრივი გარემოთი იმისგან, რასაც ის მიჩვეული იყო მუსლიმურ ესპანეთში, თავის მშობლიურ ქალაქ გრანადაში.³⁶

ესპანური სკოლის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა ობიექტური, განზოგადებული ხატებისკენ მიდრეკილება. სხვა სიტყვებით, ამ ფენომენს შეიძლება კლასიციზმი ეწოდოს. ესპანელმა პოეტებმა პირველებმა ასახეს თავიანთი პირადი, ინტიმური გამოცდილება, თუმცა ჰანაგიდის ბრძოლის სცენები, მოსე იბნ ეზრას ჩივილი გადასახლების გაჭირვებაზე ან იეჰუდა ჰა-ლევის „ლექსები სიონის შესახებ“ არ ასახავს მხოლოდ პირად გამოცდილებას. ესპანელი პოეტები წერდნენ თავიანთ თავზე, გრძნობებზე, აზრებსა და იმედებზე, მაგრამ მათი ლექსების უმეტესობა იწერებოდა სტილიზებული სახით, რაც გარკვეულწილად მალავდა ავტორის ინდივიდუალურობას და თემის განზოგადებისკენ იყო მიმართული. უძველესი არაბული პოეზიის ძირითადი ჟანრებიც კი (ქება, სატირა, გოდება) დროთა განმავლობაში ვითარდებოდა განსხვავებული ფორმით და სახით, თავისი მოტივებით, სტილით და გარკვეული ტიპის შინაარსით.

³⁵ Esperanza Alfonso, "Constructions of Exile in Medieval Hebrew Literature: Between Text and Context," *Mikan: Journal for Hebrew Literary Studies* 1, 2000: p. 85-96

³⁶ Abdallah Tarabieh, Joachim Yeshaya, *The Themes of Calling for Help and Redemption in Arabic and Hebrew Poems from Medieval Spain during the Eleventh and Twelfth Century*, p.128-133 https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/9964/file/pardes22_121-133.pdf

მაგალითად, სასიყვარულო ლექსებში საყვარელი ადამიანის აღწერისას, მართალია, პოეტი წარმოიდგენდა კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ თვით აღწერა ეფუძნებოდა, უპირველეს ყოვლისა, სილამაზის იდეალს, რომელიც ეკუთვნოდა ეპოქას და არა პირადად პოეტს... შუა საუკუნეების ავტორები ცდილობდნენ პოეზიის გათავისუფლებას შემთხვევითი დეტალებისაგან, დროისა და ადგილისგან, რომლებიც მას ზღუდავენ შემოქმედებით პროცესში... შუა საუკუნეების პოეზია გამოირჩევა არა დეტალების ორიგინალურობით, არამედ მთლიანობის სისრულით.³⁷

უფრო მოგვიანო პერიოდში ახალი ჟანრებისა და თემების ჩამოყალიბება განპირობებულია პოლიტიკური მოტივით - ქრისტიანული თავდასხმებით მუსლიმთა მიერ ოკუპირებულ ქალაქებზე. ომები, დევნა და ბრძოლები მუსლიმებსა და ებრაელებს უმოწყალოდ შეეხო. ქრისტიანებმა ომი გამოუცხადეს ოკუპანტებს, ვინაიდან პატრიოტული თვალსაზრისით და რელიგიურადაც არ ეთანხმებოდნენ მუსლიმური სახელმწიფოს არსებობას ევროპის შუაგულში. ამ მოვლენებსა და არეულობებს თან ახლდა მუსლიმებისა და ებრაელების დევნა, ებრაული ქალაქებისა და თემების განადგურება, მუსლიმთა ქალაქებისა და სახლების ნგრევა და ცეცხლის წაკიდება, მოსახლეობის გადასახლება, მათი ხოცვა-ჟლეტა. ამ ქმედებებს მისი ძალიან მკაცრი შედეგების გამო უწოდებენ “ნაკბას” (نكبات, კატასტროფა). მუსლიმებისა და ებრაელების წამებისა და შევიწროების ყველა ფორმა იყო გამოხატული დაზარალებულ ქალაქებსა და თემებზე დაწერილ გლოვებში, ელეგიებში, სადაც გამოსყიდვის ძახილი და გოდება გაიზარდა.³⁸

ანდალუსიური პერიოდის ჟანრების მიმოხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამ პერიოდის პოეზიაში გავრცელებულ ლექსებს ე.წ. პიუტებს. პიუტი არის ლიტურგიკული კომპოზიციების ან რელიგიური ლექსების რამდენიმე სახეობიდან ერთ-ერთი, რომელიც გამიზნულია ებრაული ლიტურგიული რიტუალისთვის. იგი პირველად შეიქმნა პალესტინაში IV-V საუკუნეებში. ეს ჟანრი შესაძლოა წარმოიშვა როგორც შენიღბული პასუხი დევნაზე, როცა აიკრძალა თალმუდისა და ბიბლიის სწავლება ან გავრცელება ჰპოვა როგორც რელიგიური გრძნობების ბუნებრივმა გამოხატულებამ. პიუტი გამოიყენებოდა ისეთი ფუნდამენტური წესების დასანერგად, როგორიცაა შაბათის და რელიგიური დღესასწაულების დაცვა და მოუწოდებდა მრევლს თორის ერთგულებისკენ, ღმერთის რწმენისკენ, იმედისა და ნდობის ღვთის მუდმივ განგებულებაზე დამოკიდებულების აღიარებისკენ. პიუტების ავტორები უპირატესობას ანიჭებდნენ იშვიათი ბიბლიური სიტყვების გამოყენებას, იყენებდნენ არამეიზმებსაც, უფრო მეტიც, მოიგონეს ათასობით ახალი სიტყვა, რისთვისაც ისინი ხშირად ამოკლებდნენ უკვე არსებულ სიტყვებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის ცნობილ ებრაელ ფილოსოფოსს საადია ბენ იოსეფს (882–942), რომელიც პიუტის ჟანრის მგზნებარე დამცველი იყო. ის დაიბადა ეგვიპტეში, ცხოვრობდა ისრაელში, წერდა ბიბლიის ებრაულზე. მან

³⁷ Еврейская поэзия средневековой Испании, Перевод Владимира Лазариса, Библиотека-Алия, 1981, стр.148-150

<https://vtoraya->

literatura.com/pdf/aliya_082_evrejskaya_srednevekovaya_poeziya_v_ishpanii_1981__ocr.pdf

³⁸ Abdallah Ebraheem Tarabieh..., p.4

შეადგინა „ლოცვანი“, რომელიც ებრაული ლიტურგიის ერთ-ერთი წყაროა...³⁹ როგორც პიუტის ჟანრის პრეისტორია გვიჩვენებს იგი შუასაუკუნეების ესპანეთში არ ჩასახულა, თუმცა ამ დროს სახე იცვალა, ვინაიდან ისიც არაბული პოეზიის გავლენის ქვეშ მოექცა, საგრძნობლად გადახალისდა მისი ფორმა. ამ პერიოდის რელიგიური პოეზიის ნიმუშებიც არაბული ლექსის ზომით იწერებოდა. თუ ტრადიციული პიუტი მეტწილად ურითმოდ ან ზოგჯერ რიტმული არათანმიმდევრობით ხასიათდებოდა, ანდალუსიურ პოეზიაში ამის კომპენსაციას ლექსების მუსიკალური აკომპანიმენტი ახდენდა. შუა საუკუნეებში პიუტი იყო ებრაული ლიტერატურის ყველაზე კულტივირებული ფორმა, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვა), ესპანეთში კი ამ ჟანრმა განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, სადაც პიუტის განსაკუთრებული რითმი და ფორმა დაინერგა.

ამრიგად, მცირე მიმოხილვის შედეგად შესაძლებელია შემდეგნაირად შეჯამდეს ზემოთქმული:

„ოქროს ხანის“ ებრაული კულტურის ძირითად მახასიათებლებს განაპირობებს ქვეყანაში არსებული ზოგადი კულტურული ატმოსფეროს ზემოქმედება ებრაელებზე, რომლებმაც მოიპოვეს გავლენა და სიმდიდრე, დაიწყეს ხელოვნებისა და მეცნიერების მხარდაჭერა, დაიხლოვეს ფილოსოფოსები, პოეტები და მთარგმნელები, რითაც ხელი შეეწყო ებრაული კულტურის განვითარებას. X-XII საუკუნეები გამოირჩეოდა მთლიანად კულტურისა, და მათ შორის, ლიტერატურის უპრეცედენტო აყვავებით. ებრაელებსა და არაბებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობა დამყარდა, რაც ასევე უპრეცედენტო მოვლენაა. ებრაელებს ჰქონდათ გარკვეული მოქალაქეობრივი უფლებები და გააჩნდათ ანგარიშგასაწევი სტატუსი. კულტურის დარგებს შორის ყველაზე მეტად განვითარდა მხატვრული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი - პოეზია. ესპანეთში მოღვაწე ებრაელმა პოეტებმა თავიანთ მხატვრულ ქმნილებებში წარმოაჩინეს ძველი აღთქმის წიგნების პოეტური თავისებურებანი და სასაუბროდ მკვდარი ენა პოეზიაში გააცოცხლეს. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ანდალუსიელმა ებრაელმა პოეტებმა, მართალია, მეათე საუკუნეში დაიწყეს ებრაული პოეზიის ნიმუშების წერა იმავე ჟანრებით, იმავე თემების, ფორმის, სტილისა და პროსოდის გათვალისწინებით, როგორც წერდნენ არაბი პოეტები და ასე გაგრძელდა დიდხანს, თითქმის ესპანეთიდან მათ გამოდევნამდე, თუმცა ებრაულ და არაბულ პოეზიაში მსგავსებების გარდა, ხაზგასასმელია მთავარი, რაც გამორჩეულს ხდის ანდალუსიურ ებრაულ პოეზიას - იგი არ შეიძლება ჩაითვალოს არაბული პოეზიის უბრალო მიბაძვად, განსაკუთრებით იმის გამო, რომ ანდალუსიური ებრაული პოეზია იქმნებოდა იმ საზოგადოებისთვის, რომელსაც საუკუნეების მანძილზე ჰქონდა განსხვავებული ისტორია და კულტურა, საკუთარი ლიტერატურული ტრადიციები გააჩნდა, ერთგულად იცავდა თავის რელიგიას და ამაცობდა თავისი მონაპოვრით. ამ ეპოქის ებრაელმა კულტურამ შეძლო შემოქმედებითად აღენიშნა და თავისებურად გადაემუშავებინა გარეგნულად არაებრაული კულტურის მიღწევები. აქედან გამომდინარე, ებრაელმა პოეზიამ, ეზიარა რა არაბული პოეზიის იდეებსა და ფორმებს, მუსლიმური აღორძინების ეპოქის მრავალფეროვნებისა და დახვეწილობის ფონზე ბრწყინვალედ გამოხატა

³⁹ <https://www-britannica-com.translate.goog/topic/piyyut>

ებრაული იდეები, აზრები და გრძნობები. ხაზი კიდევ ერთხელ უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ შუა საუკუნეების ებრაული პოეზიის ენა მხოლოდ ებრაულია. ესპანეთში მცხოვრები ებრაელი შემოქმედები, რომლებმაც შესანიშნავად იცოდნენ არაბული ენა და არაბულად მრავალი სამედიცინო, ფილოსოფიური თხზულება და გრამატიკული ტრაქტატი დაწერეს, ლექსებს მხოლოდ ებრაულად ქმნიდნენ, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ებრაული ენის სამომავლო განვითარებაზე. პოეტები ირჩევდნენ თემას, რომელიც შემდეგ იხვეწებოდა რიტორიკული ფიგურების, პოეტური ტროპების დახმარებით და ბიბლიური ფრაზების ზოგჯერ უცვლელად (მუსიკურ-მოზაიკური სტილი) გამოყენებით. ამ პერიოდის რიტორიკასა და მჭერმეტყველების ხელოვნებას დიდი დატვირთვა ჰქონდა. სწორედ ამიტომ ნებისმიერ ნაწარმოებს შეეძლო გრძნობების გაღვიძება, რასაც ზოგჯერ თავად ტექსტის შინაარსი არ იმსახურებდა. მუსლიმების გავლენით, ებრაელებმა ახლებურად შეხედეს თანახს და მასში სიტყვიერი ხელოვნების სრულყოფილება დაინახეს, ამიტომ როგორი ზეგავლენით და რა ფორმითაც უნდა გადმოცემულიყო ებრაული ლექსი, იგი ყველგან და ყოველთვის (მათ შორის ანადალუსიურ პოეზიაშიც) ინარჩუნებდა ბიბლიურ სულისკვეთებასა და კოლორიტს.

დასასრულს, ებრაული კულტურის ოქროს ხანა შუა საუკუნეების ესპანეთში წარმოადგენს კულტურული სინთეზის პარადიგმულ მაგალითს, სადაც ებრაული და არაბული კულტურული ტრადიციები იკვეთება და გავლენას ახდენენ ერთმანეთზე. კულტურული გაცვლის ამ ეპოქამ დრამად იმოქმედა ებრაული პოეზიის განვითარებაზე, რის შედეგადაც გაჩნდა ახალი ტიპის მხატვრული ქმნილებები, რომელიც გამოირჩევა თავისი ლიტერატურული ღირებულებებითა და კულტურული მნიშვნელობით.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

1. აჯიაშვილი, ჯემალ. *შუა საუკუნეების ებრაული პოეზია*. ებრაულიდან თარგმნა ჯ. აჯიაშვილმა: „საბჭოთა საქართველო“, 1972, გვ. 7
2. გულედანი, ლალი. ანდალუსიური ებრაული პოეზიის ძირითადი მახასიათებლები. ჯემალ აჯიაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათა დიალოგი გრძელდება“. თეზისები, 22-23 მარტი, თსუ, გვ. 55. 2024.
https://www.researchgate.net/publication/380953210_jemal_ajashvilis_dabadebi_dan_80_tslistavisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsia_SCHOLARLY_CONFERENCE_IN_HONOUR_OF_THE_80_TH_ANNIVERSARY_OF_THE_BIRTH_OF_JEMAL_AJASHVILI_kulturata_dialogi_grdzelde
3. თევდორაძე, ვახტანგ. მადჰი (ხოტბა პანეგირიკი) ომაელთა ხანის პოეტის ალ-ახტალის შემოქმედებაში. *ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული*, IV. 2012, 126-129
4. თევდორაძე, ვახტანგ. კასიდის როლი შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური კულტურის ჩამოყალიბება-ფორმირებაში. *თავისუფალი უნივერსიტეტის აზიური კვლევების ჟურნალი*, N3, 2021
<https://journals.org.ge/index.php/asianstudies/issue/view/27>
5. კობეშავიძე, მარინე, ჭრიკიშვილი ნინო. ალ-ანდალუსის ქრისტიანებიდან მოსარაბებამდე, Jarchas - ლირიკური პოეზიის უძველესი ნიმუშები

- ესპანეთში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ მასალები), IX, 2024. <https://doi.org/10.52340/lac.2024.09.26>
6. სამოელსი, რუთ. *ებრაელთა ისტორიის გზებზე*. ებრაული თემების გამომკვლევითი საზოგადოება. თელ-ავივი, 1990
 7. ტიკადე, მერაბ. *არაბთა ისტორია (V-XV საუკუნეები)*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008.
 8. ქველიძე, ლეილა, არაბული (ანდალუსიური) ლიტერატურის განვითარების ეტაპები ესპანეთში. *VIII საერთაშორისო კონფერენციის „ენა და კულტურა“ მასალები*, II. 2023, 197-111. <https://doi.org/10.52340/lac.2023.08.83>
 9. Долинина, А.А. Предисловие // Бади аз-Заман ал-Хамадани. Макамы. СПб: Петербургское востоковедение, 1999.
 10. *Еврейская поэзия средневековой Испании*. Перевод Владимира Лазариса, Библиотека-Алия, 1981. https://vtoraya-literatura.com/pdf/aliya_082_evrejskaya_srednevekovaya_poeziya_v_ispanii_1981_ocr.pdf
 11. *Краткая Еврейская Энциклопедия*. Главный редактор: Ицхак Орен (Надель), Главный научный консультант: проф. Михаэл Занд, том. 2 (1982); том.3 (1986); том.9 (1999); том.10 (2001); Иерусалим: Еврейский Университет в Иерусалиме.
 12. Спиридонова А.В. Арабское влияние на еврейскую литературу в Андалусии на примере сборника макам Йехуды аль-Харизи «Тахкемони». Санкт-Петербург: Петербургский Институт Иудаики. 2013.
 13. Abdallah Ebraheem Tarabieh. *Arabic and Hebrew Poetry in Andalusia between Light and Darkness*. Cambridge Scholars Publishing, 2022
 14. Abdallah Tarabieh, Joachim Yeshaya. The Themes of Calling for Help and Redemption in Arabic and Hebrew Poems from Medieval Spain during the Eleventh and Twelfth Century. https://publishup.uni-potsdam.de/opus4-ubp/frontdoor/deliver/index/docId/9964/file/pardes22_121-133.pdf
 15. Esperanza Alfonso, "Constructions of Exile in Medieval Hebrew Literature: Between Text and Context," *Mikan: Journal for Hebrew Literary Studies* 1, 2000. http://www.ianusi.com/2018/03/blog-post_77.html

ინტერნეტ-რესურსები - Web Resources

16. <https://eleven.co.il/diaspora/regions-and-countries/11856/>
17. <https://old.bigenc.ru/literature/text/1974033>
18. <https://odiel.livejournal.com/138036.html>
19. <https://www.britannica.com/art/Hebrew-literature>
20. <https://www.britannica.com/topic/piyyut>